ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს **2023 წლის 21 დეკემბრის** სხდომის

ოქმი # 12

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 35 წევრიდან - 32

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნები
   მომხს: ს. დუნდუა
2. ფაკულტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცება
   მომხს.: ს. დუნდუა
3. რექტორის მიერ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემაში სამეცნიერო ნაშრომისთვის განკუთვნილი ჯილდოს მინიჭების შესახებ სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების პროფესორის, იაგო კაჭკაჭიშვილის განცხადების განხილვა
   მომხს: ს. დუნდუა
4. რექტორის მიერ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემაში სამეცნიერო ნაშრომისთვის განკუთვნილი ჯილდოს მინიჭების შესახებ პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასისტენტ პროფესორის, სანდრო ტაბატაძის განცხადების განხილვა
   მომხს: ს. დუნდუა
5. ასოცირებული პროფესორის ანა დიაკონიძის განცხადება სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულებით სარგებლობის შესახებ
   მომხს: ს. დუნდუა
6. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების ნინო ავალიშვილის და ნიკა ჩხიკვაძის განცხადების განხილვა ასოცირებულ პროფესორ კონსტანტინე შუბითიძის მხრიდან ეთიკური ნორმების დარღვევის თაობაზე.
   მომხს: ს. დუნდუა
7. ასოცირებული პროფესორის, კონსტანტინე შუბითიძის განცხადების განხილვა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების ნინო ავალიშვილისა და ნიკა ჩხიკვაძის მიერ ეთიკური ნორმების დარღვევის თაობაზე.
   მომხს: ს. დუნდუა

8. აკადემიური პერსონალის 2023 წლის სახელფასო სავალდებულო სამეცნიერო - კვლევითი დატვირთვის შემსწავლელი კომისიის დამტკიცება

   მომხს: ს. დუნდუა

9. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების ჩატარების წესი, რომელიც მიღებულ იქნა ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის19 ოქტომბრის სხდომაზე. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნებში დარეგისტრირებულია ორი კანდიდატი: პროფესორი თამარ დოლბაია და ასოცირებული პროფესორი კონსტანტინე შუბითიძე. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო არჩევნებში მონაწილე კანდიდატების მიერ ფაკულტეტის კანცელარიაში საკონკურსოდ წარდგენილი დოკუმენტაცია. ფაკულტეტის საბჭოს წევრების მიერ ერთხმად არჩეულ იქნა საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანული ტალახაძე, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი
2. ნათია ფარცხალაძე - საარჩევნო კომისიის მდივანი, ასოცირებული პროფესორი
3. ლუკა ტაბიძე - საარჩევნო კომისიის წევრი, სტუდენტი

არჩევნების დაწყებამდე კონკურსის მონაწილე ასოცირებულმა პროფესორმა კონსტანტინე შუბითიძემ ითხოვა სიტყვა განცხადებისთვის. კ. შუბითიძემ საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ ხარისხის სამსახურის უფროსის არჩევისთვის ჩატარებულმა რამდენიმე არჩევნებმა ვერ გამოავლინა გამარჯვებული. მოცემულ პირობებში, როდესაც ფაკულტეტს თითქმის სამი თვეა არ ჰყავს ხერისხის სამსახურის უფროსი და ამით გარკვეულწილად ზარალდება ფაკულტეტის ინტერესები, მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული არჩევნების პირველ ტურში კვლავ ვერ მოხერხდებოდა გამარჯვებულის გამოვლენა, ის ხსნიდა თავის კანდიდატურას და ხმას მისცემდა კონკურსში მონაწილე მეორე კანდიდატს, ქალბატონ თამარ დოლბაიას.

არჩევნები ჩატარდა ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 19 ოქტომბრის სხდომაზე. მიღებული წესის მიხედვით. შედგენილ იქნა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც დაფიქსირდა შემდეგი:

1. ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიის მიხედვით - 35
2. კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა ხელმოწერის მიხედვით - 32
3. საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა - 32
4. ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა - 2

5. კანდიდატების მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა:

ა) თამარ დოლბაია - 15
ბ) კონსტანტინე შუბითიძე - 15

დაადგინეს: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ასარჩევად ფაკულტეტის სხდომაზე დამსწრე წევრთაგან უმრავლესობა (17 ხმა) ვერ მოიპოვა ვერცერთმა კანდიდატმა. შესაბამისად, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნებმა ვერ გამოავლინა გამარჯვებული. ხარისხის უზრუნველყოფის სამსხაურის უფროსის გამოსავლენად არაუგვიანეს ერთი საათის მანძილზე დაინიშნოს არჩევნების მეორე ტური.

მოისმინეს: ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ არჩევნების მეორე ტურში, პირადი განცხადების საფუძველზე, ერთ-ერთმა კანდიდატმა, ასოცირებულმა პროფესორმა კონსტანტინე შუბითიძემ მოხსნა საკუთარი კანდიდატურა, შესაბამისად, მეორე ტურში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნებში მონაწილეობას იღებს მხოლოდ ერთი კანდიდატი, პროფესორი თამარ დოლბაია. არჩევნების მეორე ტურიც 2023 წლის 19 ოქტომბრის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. მიღებული წესის მიხედვით უნდა ჩატარდეს და მასში მონაწილე კანიდატმა გამარჯვების მოსაპოვებლად უნდა მოაგროვოს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობა. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს სთხოვა, ხელი მოეწერათ ფაკულტეტის საბჭოს წევრთა დასწრების სიაზე, რითაც დადასტურდებოდა ქვორუმის არსებობა და შესაძლებელი გახდებოდა მეორე ტურის ჩატარება.
შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ, ქვორუმის არსებობის პირობებში ფაკულტეტის საბჭოს წევრების მიერ ერთხმად არჩეულ იქნა საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანული ტალახაძე, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი
2. ნათია ფარცხალაძე - საარჩევნო კომისიის მდივანი, ასოცირებული პროფესორი
3. ლუკა ტაბიძე - საარჩევნო კომისიის წევრი, სტუდენტი

არჩევნები ჩატარდა ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 19 ოქტომბრის სხდომაზე. მიღებული წესის მიხედვით. შედგენილ იქნა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც დაფიქსირდა შემდეგი:

1. ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიის მიხედვით - 35
2. კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა

ხელმოწერის მიხედვით - 30

3. საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა - 30
4. ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა - 12
5. კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა: თამარ დოლბაია - 18

დაადგინეს: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩეულ იქნას პროფესორი თამარ დოლბაია.

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო 2024 წლის ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტი. ს. დუნდუას განცხადებით, ბიუჯეტში გათვალისწინებულია რამდენიმე სიახლე, კერძოდ: აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასების ზრდა; ასევე, 10 000 ლარით გაიზარდა თანხა აკადემიური პერსონალის მივლინებებისთვის. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს გააცნო დაგეგმილი სიახლე სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებთან დაკავშირებითაც. კერძოდ, 2024 წლიდან ბიუჯეტში გამოყოფილია 10 000 ლარი მაგისტრანტების კვლევითი პროექტების განხორციელებისთვის.

აზრი გამოთქვეს: მ.შამილიშვილმა, ხ. მაისაშვილმა, გ. გოგსაძემ

დაადგინეს: დამტკიცდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2024 წლის ბიუჯეტი.

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის პროფესორის, იაგო კაჭკაჭიშვილის განცხადება რექტორის მიერ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემაში სამეცნიერო ნაშრომისთვის განკუთვნილი ჯილდოს მინიჭების შესახებ (განცხადება თან ერთვის). სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებულია იმპაქტ-ფაქტორის მქონე საერთაშორისო ჟურნალში „Humanities and Social Sciences Communications", ინდექსირებულია Web of Science-ში და მისი იმპაქტ ფაქტორია 2.731 (IF=2.731). სტატიის დასახელება:„Barriers and drivers of positive COVID-19 vaccination behaviors among healthcare workers in Europe and Central Asia: a Qualitative cross-country synthesis". 08/12 2023. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს ასევე მოახსენა, რომ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მიერ დასტურდება, რომ მოცემული ჟურნალი ნამდვილად მაღალი იმპაქტ ფაქტორის მქონეა, ხოლო პროფესორი ი. კაჭკაჭიშვილი მოცემული სტატიის გარეშეც ასრულებს პროფესორისთვის განკუთვნილ ყოველწლიურ მინიმალურ სამეცნიერო დატვირთვას-130 ქულას (განცხადება თან ერთვის ოქმს)

აზრი გამოთქვეს: მ.მაცაბერიძემ, გ, გოგსაძემ.

დაადგინეს: დამტკიცდეს გადაწყვეტილება იაგო კაჭკაჭიშვილისთვის რექტორის #12/04 19/05/2021 ბრძანებით გათვალისწინებულ ფინანსურ ჯილდოზე წარდგენის შუამდგომლობის შესახებ.

მოისმინეს: 4. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო პოლიტიკის მეცნიერების ასისტენტ პროფესორის, სანდრო ტაბატაძის განცხადება რექტორის მიერ მაღალრეიტინგულ

სამეცნიერო გამოცემაში სამეცნიერო ნაშრომისთვის განკუთვნილი ჯილდოს მინიჭების შესახებ (განცხადება თან ერთვის). სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებულია სამეცნიერო ჟურნალში: "Journal of EurasianStudies", რომლის CiteScore არის 1.4. სტატიის დასახელება:„Liberal-democratic Values and Secondary School: The Case of Georgia". ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს ასევე მოახსენა, რომ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მიერ დასტურდება, რომ მოცემული ჟურნალის CiteScore არის 1.4. ხოლო ასისტენტ პროფესორი ს. ტაბატაძე მოცემული სტატიის გარეშეც ასრულებს ასისტენტ პროფესორისთვის განკუთვნილ ყოველწლიურ მინიმალურ სამეცნიერო დატვირთვას-130 ქულას (განცხადება თან ერთვის ოქმს).

აზრი გამოთქვეს: მ.შამილიშვილმა, ხ. მაისაშვილმა.

დაადგინეს: დამტკიცდეს გადაწყვეტილება სანდრო ტაბატაძისთვის რექტორის #12/04, 19/05/2021 ბრძანებით გათვალისწინებულ ფინანსურ ჯილდოზე წარდგენის შუამდგომლობის შესახებ.

მოისმინეს: 5. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის ასოცირებული პროფესორის, ანა დიაკონიძის განცხადება 2024 წლის გაზაფხულის სემესტრში სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულებით სარგებლობის შესახებ. განცხადებაში ა. დიაკონიძე აღნიშნავს, რომ იგი მუშაობს შრომის სოციოლოგიის სახელმძღვანელოს შექმნაზე. აღნიშნულ სალექციო კურსს საბაკალავრო დონეზე უკვე მრავალი წელია უძღვება. ამ სფეროში არათუ სახელმძღვანელო, არამედ ზოგადად, სამეცნიერო ტექსტები ძალიან მწირია. სახელმძღვანელო განკუთვნილი იქნება არა მხოლოდ სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტებისთვის, არამედ სოციალური მეცნიერებებით (განსაკუთრებით შრომის ტრადიციული და თანამედროვე ფორმებით და შრომითი ურთიერთობებით) დაინტერესებული პირებისთვის. ამასთანავე, მომდევნო წელს, იგი გეგმავს პლატფორმული შრომის შესახებ მიმდინარე კვლევის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წარდგენას.

აზრი გამოთქვეს: ნ. დურგლიშვილმა, ზ. აბაშიძემ.

დაადგინეს: მიეცეს რეკომენდაცია ასოცირებულ პროფესორს ანა დიაკონიძეს თსუ-ის რექტორის წინაშე 2024 წლის 1 თებერვლიდან 1 აგვისტომდე, 6 თვის ვადით, სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულებით სარგებლობის შესახებ და დაევალოს, წარმოადგინოს აღნიშნული ვადის გასვლისთვის სახელმძღვანელო შრომის სოციოლოგიაში და ასევე, საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილეობის დამადასტურებელი მასალა.

მოისმინეს: 6. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სტუდენტ ნინო ავალიშვილის და პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების სტუდენტ ნიკა ჩხიკვაძის განცხადებები, სადაც ისინი აღწერენ, რომ ლექციაზე დაგვიანების გამო ლექტორ კონსტანტინე შუბითიძის მხრიდან ადგილი ჰქონდა ეთიკური ნორმების დარღვევას და დაგვიანებული სტუდენტების ლექციაზე არდაშვებას (განცხადება თან ერთვის ოქმს); განცხადებაში სტუდენტები ითხოვდნენ საბჭოს მიერ შესაბამის რეაგირებას ბატონ კონსტანტინე შუბითიძის მიმართ. ს. დუნდუამ დამსწრეთ მოახსენა, რომ საკითხი ცდება ფაკულტეტის საბჭოს კომპეტენციის ფარგლებს და მისი განხილვა უნდა მოხდეს ეთიკის შემსწავლელი კომისიის მიერ.

აზრი გამოთქვეს: რ. ჯორბენაძემ, ნ. დურგლიშვილმა, ი.კაჭკაჭიშვილმა, მ.შამილიშვილმა, ხ. მაისაშვილმა, ნ. ჭალაგანიძემ, ფ.ასანიშვილმა.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭოს მიერ ცნობად იქნას მიღებული სტუდენების - ნინო ავალიშვილის და ნიკა ჩხიკვაძის განცხადებები და გადაეგზავნოს შემდეგი რეაგირებისთვის შესაბამის სამსახურებს;

მოისმინეს: 7. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ასოცირებული პროფესორის, კონსტანტინე შუბითიძის განცხადება საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სტუდენტ ნინო ავალიშვილის და პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების სტუდენტ ნიკა ჩხიკვაძის მიერ ეთიკური ნორმების დარღვევის შესახებ. განცხადებაში კ. შუბითიძე მიმართავს საბჭოს მოახდინოს შესაბამისი რეაგირება აღნიშნული სტუდენტების მიმართ. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მოცემული განცხადება, განსხვავებით წინარესაკითხად განხილული განცხადებისა, ფაკულტეტის საბჭოს კომპეტენციაში შედის. დეკანის განცხადებით, ფაკულტეტის საბჭომ დეტალურად უნდა შეისწავლოს მოცემული საკითხი, შემდეგ განიხილოს საბჭოს სხდომაზე და მიიღოს გადაწყვეტილება. ამასთანავე, ს. დუნდუას განცხადებით, იმ საბჭოს სხდომას, სადაც მოხდებოდა მოცემული სტუდენტების საკითხის განხილვა - დაესწრებოდნენ თავად სტუდენტები ნიკა ჩხიკვაძე და ნინო ავალიშვილი. სწორედ ამ მიზეზით, უნივერსიტეტის მიერ გათვალისწინებული რეგულაციების შესაბამისად, ფაკულტეტის დეკანის განცხადებით, ადმინისტრაციის წარმომადგენელი საბჭოს სხდომამდე დაუკავშირდა სტუდენტებს და შესთავაზა მათ საკითხის განხილვაზე დასწრება. ს. დუნდუას განცხადებით, სწორედ ამის გამო ესწრებიან ფაკულტეტის საბჭოს მოცემულ სხდომაზე ამ კონკრეტული საკითხის განხილვას სტუდენტები ნიკა ჩხიკვაძე და ნინო ავალიშვილიც. ასევე, ს. დუნდუას განცხადებით, უმჯობესი იქნებოდა თუ ფაკულტეტის საბჭოს წევრებისგან შეიქმნებოდა გარკვეული ჯგუფი, რომელიც იმუშავებდა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მასალების მოგროვებაზე და შემდეგ ამ მასალებს მიაწვდიდა საბჭოს წევრებს.

აზრი გამოთქვეს: რ. ჯორბენაძემ, ნ. დურგლიშვილმა, ი.კაჭკაჭიშვილმა, მ.შამილიშვილმა, ხ. მაისაშვილმა, ნ. ჭალაგანიძემ, ფ.ასანიშვილმა.

საბჭოს წევრები დაეთანხმენენ ფაკულტეტის დეკანის მიერ შემოთავაზებულ ინიციატივას - შეექმნათ შიდა სამუშაო ჯგუფი. დასახელდა კონკრეტული კანდიდატები:

რევაზ ჯორბენაძე, პროფესორი

თამარ დოლბაია, პროფესორი

ზურაბ დავითაშვილი, პროფესორი

ხათუნა მაისაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ნინო დურგლიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ფიქრია ასანიშვილი, ასოცირებული პროფსორი

ლუკა ტაბიძე, სტუდენტი

ალექსანდრე ფასეიშვილი, სტუდენტი

კახა კუჭუხიძე, სტუდენტი

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭომ დაამტკიცოს საბჭოს წევრებისგან შემდგარი შიდა ჯგუფი, რომელიც მოიძიებს მასალას ასოცირებულ პროფესორ კონსტანტინე შუბითიძის მიერ

სტუდენტების: ნიკა ჩხიკვაძისა და ნინო ავალიშვილის მხრიდან არაეთიკური ქცევის შესახებ განცხადების შესასწავლად შემდეგი შემადგენლობით:

რევაზ ჯორბენაძე, პროფესორი
თამარ დოლბაია, პროფესორი
ზურაბ დავითაშვილი, პროფესორი
ხათუნა მაისაშვილი, ასოცირებული პროფესორი
ნინო დურგლიშვილი, ასოცირებული პროფესორი
ფიქრია ასანიშვილი, ასოცირებული პროფსორი
ლუკა ტაბიძე, სტუდენტი
ალექსანდრე ფასეიშვილი, სტუდენტი
კახა კუჭუხიძე, სტუდენტი

ფაკულტეტის საბჭომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღოს არაუგვიანეს ერთი თვის (სამუშაო დღეები) ვადაში.

მოისმინეს: 8. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საჭირო იყო აკადემიური პერსონალის 2023 წლის სახელფასო სავალდებულო სამეცნიერო - კვლევითი დატვირთვის შემსწავლელი კომისიის დამტკიცება. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მეტი გამჭვირვალობისთვის შესთავაზა კომისიაში ადმინისტრაციის წარმომადგენლების გარდა ასევე შეეყვანათ თითო წარმომადგენელი ყველა მიმართულებიდან
აზრი გამოთქვეს: ი. კაჭკაჭიშვილმა, მ. შამილიშვილმა. გ. გოგსაძემ.
დაადგინეს: აკადემიური პერსონალის 2023 წლის სახელფასო სავალდებულო სამეცნიერო - კვლევითი დატვირთვის შემსწავლელი კომისია დამტკიცდეს შემდეგი შემადგენლობით:

სალომე დუნდუა, ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება
თამარ დოლბაია, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება
მანანა შამილიშვილი, დეკანის მოადგილე სასწავლო დარგში, პროფესორი, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება
სანდრო ტაბატაძე, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასისტენტ პროფესორი
კონსტანტინე შუბითიძე, ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება
რევაზ ჯორბენაძე, პროფესორი, ინტერდისციპლინური მიმართულება
შორენა თურქიაშვილი, ასისტენტ პროფესორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

მოისმინეს: 9. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს სთხოვა, თუ მათ ჰქონდათ სურვილი, გამოეთქვათ მიმდინარე საკითხებზე საკუთარი მოსაზრებები.

პროფესორმა იაგო კაჭკაჭიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მისი აზრით, საჭირო იყო აკადემიური პერსონალის სახელფასო სავალდებულო სამეცნიერო - კვლევითი დატვირთვის კუთხით გარკვეული ცვლილებების განხორციელება. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ რადგან მოცემული კრიტერიუმები არის თსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი, მასში ცვლილებების განხორციელება ფაკულტეტის საბჭოს კომპეტენციაში არ შედის. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს შესთავაზა, შეექმნათ კომისია, რომელიც იმსჯელებდა სახელფასო სავალდებულო სამეცნიერო - კვლევით დატვირთვაში შესაძლო ცვლილებებზე და შემდგომში ამ ცვლილებების პროექტს წარუდგენდა ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად.

აზრი გამოთქვეს: მ. მაცაბერიძემ, თ. დოლბაიამ, მ. წერეთელმა, ნ. დურგლიშვილმა.

საბჭოს წევრები დაეთანხმნენ ფაკულტეტის დეკანის შემოთავაზებას კომისიის შექმნის შესახებ და წარმოადგინეს კომისია შემდეგი შემადგენლობით:

სალომე დუნდუა,ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი

იოსებ სალუქვაძე, პროფსორი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

კონსტანტინე შუბითიძე, ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

ნინო დურგლიშვილი, ასოცირებული პროფესორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

ხათუნა მაისაშვილი, ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულება

თეონა მატარაძე, ასოცირებული პროფესორი, ინტერდისციპლინური მიმართულება

სანდრო ტაბატაძე, ასისტენტ პროფესორი, სამეცნიერო კვლევებისა დ აგანვითარების სამსახურის უფროსი

დაადგინეს: აკადემიური პერსონალის სახელფასო სავალდებულო სამეცნიერო - კვლევით დატვირთვაში შესაძლო ცვლილებების მომზადების კომისია დამტკიცდეს შემდეგი შემადგენლობით:

სალომე დუნდუა,ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი

იოსებ სალუქვაძე, პროფსორი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

კონსტანტინე შუბითიძე, ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

ნინო დურგლიშვილი, ასოცირებული პროფესორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

ხათუნა მაისაშვილი, ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულება

თეონა მატარაძე, ასოცირებული პროფესორი, ინტერდისციპლინური მიმართულება

სანდრო ტაბატაძე, ასისტენტ პროფესორი, სამეცნიერო კვლევებისა დ აგანვითარების სამსახურის უფროსი

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე	სალომე დუნდუა
ფაკულტეტის საბჭოს მდივანი	ნათია ფარცხალაძე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

სალომე დუნდუა

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

მალხაზ მაცაბერიძე

ალექსანდრე კუხიანიძე

ზვიად აბაშიძე

თამარ ქარაია

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

თამარ დოლბაია

გიორგი გოგსაძე

რევაზ გაჩეჩილაძე

ვაჟა ლორთქიფანიძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

ზურაბ დავითაშვილი

ფიქრია ასანიშვილი

კონსტანტინე შუბითიძე

დავით მაცაბერიძე

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

იაგო კაჭკაჭიშვილი

ამირან ბერძენიშვილი

ნინო დურგლიშვილი

ნათელა ფარცხალაძე

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

მარი წერეთელი

მანანა შამილიშვილი

ნანული ტალახაძე

ხათუნა მაისაშვილი

ნინო ჭალაგანიძე

ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულება

რევაზ ჯორბენაძე

ნოდარ ბელქანია

ზურაბ აბაშიძე

თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

იაკობ ორმოცაძე

ლუკა ტაბიძე

ნინა კარანაია

დიტო ბელქანია

ალექსანდრე ფასეიშვილი

მარიამ ჯეჯია

თამარ ბიბიჩაძე

კახა კუჭუხიძე

ალექსანდრე გაბაშვილი

2023 წლის 21 ივლისი

ამრჩევნები

N	გვარი	სახელი	პირადი ნომერი	ხელმოწერა
1	დუნდუა	სალომე		
2	მაცაბერიძე	მალხაზ		
3	კუხიანიძე	ალექსანდრე		
4	აბაშიძე	ზვიად		
5	ქარაია	თამარ		
6	დოლბაია	თამარ		
7	გოგსაძე	გიორგი		
8	გაჩეჩილაძე	რევაზ		
9	ლორთქიფანიძე	ვაჟა		
10	დავითაშვილი	ზურაბ		
11	ასანიშვილი	ფიქრია		
12	შუბითიძე	კონსტანტინე		
13	მაცაბერიძე	დავით		
14	კაჭკაჭიშვილი	იაგო		
15	ბერძენიშვილი	ამირან		
16	დურგლიშვილი	ნინო		
17	ფარცხალაძე	ნათელა		
18	წერეთელი	მარი		
19	შამილიშვილი	მანანა		
20	ტალახაძე	ნანული		
21	მაისაშვილი	ხათუნა		
22	ჭალაგანიძე	ნინო		

23	ჯორბენაძე	რევაზ		
24	ბელქანია	ნოდარ		
25	აბაშიძე	ზურაბ		
26	მატარაძე	თეონა		
27	ორმოცაძე	იაკობ		
28	ტაბიძე	ლუკა		
29	კარანაია	ნინა		
30	ბელქანია	დიტო		
31	ფასეიშვილი	ალექსანდრე		
32	ჯეჯია	მარიამ		
33	ბიბიჩაძე	თამარ		
34	კუჭუხიძე	კახა		
35	გაბაშვილი	ალექსანდრე		

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ხარსხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების

შემაჯამებელი ოქმი

21 დეკემბერი 2023 წელი

1. ამომრჩეველთა რაოდენობა სიის მიხედვით:

   35 (35)

2. კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით:

   32

3. საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა:

   32

4. ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა:

   2

5. თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა:

   [illegible] - 15

   [illegible] - 15

6. კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა:

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

სალომე დუნდუა

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

მალხაზ მაცაბერიძე

ალექსანდრე კუხიანიძე

ზვიად აბაშიძე

თამარ ქარაია

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

თამარ დოლბაია

გიორგი გოგსაძე

რევაზ გაჩეჩილაძე

ვაჟა ლორთქიფანიძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

ზურაბ დავითაშვილი

ფიქრია ასანიშვილი

კონსტანტინე შუბითიძე

დავით მაცაბერიძე

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

იაგო კაჭკაჭიშვილი

ამირან ბერძენიშვილი

ნინო დურგლიშვილი

ნათელა ფარცხალაძე

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

მარი წერეთელი

მანანა შამილიშვილი

ნანული ტალახაძე

ხათუნა მაისაშვილი

ნინო ჭალაგანიძე

ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულება

რევაზ ჯორბენაძე

ნოდარ ბელქანია

ზურაბ აბაშიძე

თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

იაკობ ორმოცაძე

ლუკა ტაბიძე

ნინა კარანაია

დიტო ბელქანია

ალექსანდრე ფასეიშვილი

მარიამ ჯეჯია

თამარ ბიბიჩაძე

კახა კუჭუხიძე

ალექსანდრე გაბაშვილი

II ტური

N	გვარი	სახელი	პირადი ნომერი	ხელმოწერა
1	დუნდუა	სალომე		
2	მაცაბერიძე	მალხაზ		
3	კუხიანიძე	ალექსანდრე		
4	აბაშიძე	ზვიად		
5	ქარაია	თამარ		
6	დოლბაია	თამარ		
7	გოგსაძე	გიორგი		
8	გაჩეჩილაძე	რევაზ		
9	ლორთქიფანიძე	ვაჟა		
10	დავითაშვილი	ზურაბ		
11	ასანიშვილი	ფიქრია		
12	შუბითიძე	კონსტანტინე		
13	მაცაბერიძე	დავით		
14	კაჭკაჭიშვილი	იაგო		
15	ბერძენიშვილი	ამირან		
16	დურგლიშვილი	ნინო		
17	ფარცხალაძე	ნათელა		
18	წერეთელი	მარი		
19	შამილიშვილი	მანანა		
20	ტალახაძე	ნანული		
21	მაისაშვილი	ბათუნა		
22	ჭალაგანიძე	ნინო		

23	ჯორბენაძე	რევაზ		
24	ბელქანია	ნოდარ		
25	აბაშიძე	ზურაბ		
26	მატარაძე	თეონა		
27	ორმოცაძე	იაკობ		
28	ტაბიძე	ლუკა		
29	კარანაია	ნინა		
30	ბელქანია	დიტო		
31	ფასეიშვილი	ალექსანდრე		
32	ჯეჯია	მარიამ		
33	ბიბიჩაძე	თამარ		
34	კუჭუხიძე	კახა		
35	გაბაშვილი	ალექსანდრე		

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ხარსხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების

შემაჯამებელი ოქმი

II ტური

21 დეკემბერი 2023 წელი

1. ამომრჩეველთა რაოდენობა სიის მიხედვით:

35

2. კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით:

30

3. საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა:

30

4. ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა:

12

5. თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა:

დოლბაია – 18

6. კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა:

2024 წლის ბიუჯეტის პროექტი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

01 02 05	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	2024 წლის ბიუჯეტი
00	**ჯამური**	**3473276**
2	**ხარჯები**	**3468276**
2.1	**შრომის ანაზღაურება**	**2697648**
2.1.1	ხელფასები	2697648
2.1.1.1	ხელფასები ფულადი ფორმით	2697 648.00
2.1.1.1.1	თანამდებობრივი სარგო	2697 648.00
	თანამდებობრივი სარგო -აკადემიური პერსონალი	1900 900.00
	თანამდებობრივი სარგო -ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	777 708.00
2.2	**საქონელი და მომსახურება**	**738068**
2.2.1	**შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება**	**538068**
	აკადემიური პერსონალის-საათობრივი ანაზღაურება და სხვა ხელშეკრულებები	360 000.00
	ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ანაზღაურება	117 068.00
	კვლევითი პროექტები მაგისტრანტებისათვის	10 000.00
	უცხოეთიდან მოწვეული პერსონალის ანაზღაურება	20 000.00
	თარგმნის და რედაქტირების ანაზღაურება	6 000.00
	სახელმძღვანელოების კონკურსის ფარგლებში (ანაზღაურება)	25 000.00
2.2.2	**მივლინება**	**70000**
2.2.2.1	მივლინება ქვეყნის შიგნით	15 000.00
2.2.2.2	მივლინება ქვეყნის გარეთ	55 000.00
2.2.3	**ოფისის ხარჯები**	**40000**
2.2.3.3	**ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები, საერთაშორისო ინდექსირებულ (1.2 და ზევით) ჟურნალებში გამოქვეყნების ხარჯები**	40 000.00
2.2.4	**წარმომადგენლობითი ხარჯები**	**47000**
2.2.4.1	მათ შორის: მიღებებისა და ოფიციალური სადილის, წვეულებისა და სხვა ღონისძიებების ხარჯები	7 000.00
2.2.4.2	მათ შორის: საექსკურსიო და კულტურულ–სანახაობათა ღონისძიების ხარჯი	5 000.00
2.2.4.3	მათ შორის:სასტუმროს მომსახურების(ადგილების დაჯავშნა, ცხოვრების ღირებულება და სხვა) ხარჯები	14 000.00
2.2.4.4	მათ შორის: აეროპორტში დახვედრა გაცილება, მგზავრობის ხარჯები	16 000.00
2.2.4.5	მათ შორის: სუვენირების შეძენის ხარჯები	5 000.00
2.2.10	**სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება**	**43 000**
	სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	3 000.00
	სამეცნიერო კვლევების მიზნობრივი დაფინანსების მიზნით გაწეული ხარჯები(გრანტების თანადაფინანსების ხარჯი)	
	პრაქტიკისა და ექსპედიციის ხარჯები	40 000.00

2.8	**სხვა ხარჯები**	**32 560**
	მათ შორის :საუნივერსიტეტო დაფინანსება (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა)	
	მათ ძორის:სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში, იმიტირებულ პროცესებში და სხვა დაფინანსების ხარჯები.	32 560.00
31	**არაფინანსური აქტივების ზრდა**	**5 000**
	მათ შორის: წიგნები	5 000.00

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, ქ-ნ სალომე დუნდუას,

ამავე ფაკულტეტის სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულების პროფესორის, იაგო კაჭკაჭიშვილის

განცხადება

ქ-ნო სალომე, გთხოვთ, ჩემი თანაავტორობით შესრულებული სამეცნიერო სტატია (გამოქვეყნდა 2023 წლის დეკემბერში) წარადგინოთ ჯილდოზე.

სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებულია მაღალი „იმპაქტ-ფაქტორის“ (3.5) მქონე საერთაშორისო ჟურნალში „Humanities and Social Sciences Communications“, რომელიც რეგისტრირებულია Scopus-ის ბაზაში.

სტატიის დასახელება:

„Barriers and drivers of positive COVID-19 vaccination behaviors among healthcare workers in Europe and Central Asia: a Qualitative cross-country synthesis“. *Humanities and Social Sciences Communications.* Published: 08 December: 926 (2023).

პატივისცემით,

იაგო კაჭკაჭიშვილი

20 დეკემბერი, 2023 წელი

მოცემული წერილით ვადასტურებ, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ა“ კატეგორიის პროფესორის, **იაგო კაჭკაჭიშვილის** თანაავტორობით გამოცემული სამეცნიერო სტატია: Barriers and drivers of positive COVID-19 vaccination behaviors among healthcare workers in Europe and Central Asia: a Qualitative cross-country synthesis გამოცემულია Web of Science-ში ინდექსირებულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში humanities and social sciences communications, რომლის იმფაქტ ფაქტორია 2.731 (IF=2.731).

ამასთან, ამ სამეცნიერო სტატიის გამოკლებით, პროფესორი კაჭკაჭიშვილი ასრულებს მინიმალური სამეცნიერო სახელფასო სარგოსთვის განკუთვნილ 130 ქულიან მოთხოვნას.

სანდრო ტაბატაძე



სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,

ქ-ნ სალომე დუნდუას,

ამავე ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის

სანდრო ტაბატაძის

(პ/ნ: 01008044411; ტელ: +995514411100;

ელ.ფოსტა: Sandro.tabatadze@tsu.ge)

განცხადება

ქ-ნ სალომე, გაცნობებთ, რომ ჩემი თანაავტორობით გამოცემული სამეცნიერო სტატია გამოქვეყნდა ინდექსირებულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში: "Journal of Eurasian Studies", რომლის CiteScore არის 1.4.

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული საკითხი თსუ-ის რექტორის ჯილდოზე წარსადგენად.

იხილეთ მტკიცებულებები:

ჟურნალის CiTeScore: https://journals.sagepub.com/metrics/ENS

სტატიის ბმული: https://journals.sagepub.com/doi/full/10.1177/18793665221134305

პატივისცემით,



სანდრო ტაბატაძე

20.12.2023

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს

ქ-ნ სალომე დუნდუას,

ამავე ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის

წამყვანი სპეციალისტის,

მაია კოტრიკაძის

სამსახურეობრივი ბარათი

ქ-ნ სალომე, მოცემული წერილით ვადასტურებ, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ა“ კატეგორიის ასისტენტ-პროფესორის, **სანდრო ტაბატაძის** თანაავტორობით გამოცემული სამეცნიერო სტატია: Liberal-democratic Values and Secondary School: The Case of Georgia გამოცემულია Scopus-ში ინდექსირებულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში: Journal of Eurasian Studies, 2023 წლის პირველ ნომერში. მოცემული სამეცნიერო ჟურნალის CiteScore არის 1.4.

ამასთან, ამ სამეცნიერო სტატიის გამოკლებით, სანდრო ტაბატაძე ასრულებს მინიმალური სამეცნიერო სახელფასო სარგოსთვის განკუთვნილ 130 ქულიან მოთხოვნას.

იხ. მტკიცებულებები:

ჟურნალის CiTeScore: https://journals.sagepub.com/metrics/ENS

სტატიის ბმული: https://journals.sagepub.com/doi/full/10.1177/18793665221134305

მაია კოტრიკაძე

მ. კოტრიკაძე

თარიღი: 21.12.2023

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანს, ქნ. სალომე დუნდუას,
ამავე ფაკულტეტის ასოცირებული
პროფესორის ანა დიაკონიძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

12.12.2023

გაცნობებთ, რომ ამჟამად ვმუშაობ შრომის სოციოლოგიის სახელმძღვანელოს შექმნაზე. მოგეხსენებათ, უნივერსიტეტში უკვე მრავალი წელია ვუძღვები შრომის სოციოლოგიის საბაკალავრო კურსს. სახელმძღვანელოს შექმნის მოტივაცია გახლავთ ის რომ ამ სფეროში არათუ სახელმძღვანელო, არამედ ზოგადად, სამეცნიერო ტექსტები ძალიან მწირია. სახელმძღვანელო განკუთვნილი იქნება არამხოლოდ სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტებისთვის, არამედ სოციალური მეცნიერებებით (განსაკუთრებით შრომის ტრადიციული და თანამედროვე ფორმებით და შრომითი ურთიერთობებით) დაინტერესებული პირებისთვის. ამასთანავე, მომდევნო წელს, ვგეგმავ პლათფორმული შრომის შესახებ ჩემი მიმდინარე კვლევის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წარდგენას.

ამ მიზნით გთხოვთ მომცეთ სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება 2024 წლის გაზაფხულის სემესტრში. აღნიშნული შვებულების დასრულების დროისთვის წარვადგენ შრომის სოციოლოგიის სახელმძღვანელოს დასრულებული სახით. ასევე, საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილეობის დამადასტურებელ მასალას.

პატივისცემით,
ანა დიაკონიძე

ხარ - ივანე ჯავახიშვილის სახელ
ობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტ
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათ
ფაკულტეტის საბაკალავრო სწავ
ამავე ფაკულტეტის სტუდენტის
ნინო ავალიანის
ს/ნ 01011070195

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვინ საერთაშორისო ურთიერთობების II კურსის სტუდენტ
მიუახლოვდებით, რომ 19 დეკემბერს 5 საათზე მქონდა ევროპული
და ევროკავშირის ინსტიტუციების ლექცია დაახლოებით
30 წუთით დაგვიანდა ლექციაზე. ხელ იყო პირველი მეთხუთმეტ
აუდიტორიაში მესვლისთანავე მიწოდული სტუმრის მოვუსმინ
დით და მივდიოდი ჩემი ადგილის დასაკავებლად. ამ დროს
ლექტორი კონსტანტინე მიგრითიძე ჯერჯერობით ხელში მოვიდა,
მომიხადა აუდიტორიის ლოდინება, მოვიხადე ახსნა ვინმისგ
ზე, რასაც ბოლო ჩემი აუდიტორიიდან ვამოიკვნა. მითხრა, რომ
ერთიანობა წესის თანახმად, სტუდენტს ეძლევა 15
წუთის დაგვიანების უფლება მუდმივ მუშაობის ლექციაზე. ვუთხარი,
რომ მსგავსი ერთიანობა წესი არ მოიძებნება. ნებადართულ
სტუდენტები ერთ საათზე მეტხანს ველოდებოდნენ, მაგრამ ახლა
ეს ერთი ლექტორი ამ ჭკვიანი ხალხსაც ეს ვერ მისცემ აღვა-
ფერი ჯანსაღი ვერ მივიღე. მერე სახელი, გვარი, რომელი თვა-
ლიერებლებელი და მითხრა, რომ ქალს სულ ხალისიანი ლაბ-
ნელია და ალბათ ოჯახებინა სტუმარი. ვაჟი კიდევ 25 წუთ
და დაგვიანა ჩვენმა სულ სტუდენტი აუდიტორიაში
გამოჩნდა ოსმალთიერთის ვინაც მითხრა, რომ ავადა ალბათ ჯერ
ოსმალეს, ხალხან ლექცია 10 წუთში მოვიცალეთ, მაგრამ
ორმოცდა კიდევ 1 საათს გაგრძელდა. ლექტორს ლამაზებს
ოფლიანად ვუთხარ, თუ ხალხმ ოფლიანა ის სტუდენტი და მე ეს,
მაგრამ ასეთი ვერ ვამცა, ალბათ ჩემი ლიგნოსტა, უფრაზლებას

[illegible] მაჩვენა, სხვა სპეციალისტებს ესაუბრებოდა ლ. ოქროპირიძესთან მიმართულია ხოლმე კრიტიკული კითხვებით ვითარების ინვესტიციებს. მიიღო ინფორმაციები, ფაქტი და დამოწმება, რომ ოქროპირიძეზე ვამბობთ.

მოვამზადოთ ფაქტების საბუთის ელექტრონული ფორმა ოკუპაციის კანონში ასახვის და ფაქტების საბუთებად ეროვნული ინფორმაციის ინფორმაციული ფორმა. კითხვები ეხება ინფორმაციის ინფორმაციულ ფორმას ფაქტების საბუთებზე.

ნინო
ავალიანი

21.დეკემბერი. 2023 წ.

ტელ. 595-594-000.

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]: [illegible]
[illegible]: [illegible]
[illegible]: 120 90 57 35
[illegible]: 21:12:2023
[illegible]: [illegible]
[illegible]: 62302015054

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა **ფაკულტეტის საბჭოს,**

ამავე ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

კონსტანტინე შუბითიძე

გთხოვთ, განიხილოთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების ნინო ავალიშვილისა (საერთაშორისო ურთიერთობების მეორე კურსი) და ნიკა ჩხიკვაძის (პოლიტიკის მეცნიერების პირველი კურსი) მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი ეთიკური ნორმების უხეში დარღვევის გამო.

მოგახსენებთ, რომ 2023 წლის 19 დეკემბერს საფაკულტეტო კურსის -„ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ისტორია“, ფარგლებში ლექციაზე მოწვეული მყავდა სტუმარი, რაც სილაბუსით არის გათვალისწინებული. სტუმარი გახლდათ ბატონი გიორგი ბადრიძე, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში 2009-2013 წლებში. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების დაგვიანების გათვალისწინებით ლექცია დაიწყო 10 წუთის დაგვიანებით, სტუმარს მაინც მოუწია ორჯერ შეეწყვიტა საუბარი და დალოდებოდა კვლავაც დაგვიანებული სტუდენტების აუდიტორიაში შემოსვლასა და მერხებთან განთავსებას, რადგან სხვა საშუალება ხმაურის გადასაფარად არ გამოიძებნა.

15-20 წუთის შემდეგ, იმისათვის, რათა ლექცია გაგრძელებულიყო შეუფერხებლად და მორიგ ჯერზე არ გამხდარიყო მისი შეჩერება საჭირო, გამოვიყენე უნივერსიტეტში მოქმედი ზოგადი სტანდარტი და დაგვიანებულ სტუდენტებს აღარ მივეცი ლექციაზე შემოსვლის უფლება, რაც უმრავლესობა მათგანმა მიიღო ადეკვატურად. ლექციის დაწყებიდან, რომლის ხანგრძლივობა სულ 1 საათი უნდა ყოფილიყო, 35 წუთის დაგვიანებით აუდიტორიაში შემოვიდა სტუდენტი ნინო ავალიშვილი, რომელსაც მივანიშნე, რომ გაბრუნებულიყო უკან და მეც გავედი აუდიტორიიდან, რათა ამეხსნა მიზეზი და განმემარტა, რომ ლექციაზე დასწრების ქულის აღდგენის საშუალება ექნებოდა ალტერნატიული აქტივობით და ამაზე პრობლემა არ შეექმნებოდა. საპასუხოდ, სტუდენტმა ატეხა დებოში და ყვირილი, რომ მაინც შევიდოდა აუდიტორიაში, დაგვიანება მისი ბრალი არ იყო და ვერავინ აუკრძალავდა ლექციაზე დასწრებას. მას შემდეგ, რაც მოვუწოდე, რომ დამშვიდებულიყო და ეთიკის ნორმები დაეცვა, როდესაც ლექტორთან საუბრობდა, კვლავ ყვირილით იმეორებდა, რომ ლექტორი არ იმსახურებდა არანაირ პატივისცემას და როგორც უნდოდა ისე მიმართავდა, ამავდროულად იმუქრებოდა ჩივილით და შესაბამისი ზომების მიღებით.

ამავე ლექციაზე, სტუდენტი ნიკა ჩხიკვაძე, რომელიც მთელი სემესტრის განმავლობაში გამოირჩეოდა ლექციაზე ხმაურით, არაადეკვატური საკითხებით ლექციების მიმდინარეობის შეწყვეტის მცდელობით და უადგილო რეპლიკებით, საუბრობდა გაუჩერებლად, რაზეც რამდენჯერმე მივანიშნე და სიტყვიერადაც გავაფრთხილე, რომ გაჩერებული და მიეცა საშუალება მოწვეული სტუმრისა და სხვა სტუდენტებისთვის შეუფერხებლად

გაგრძელებულიყო ლექცია. ამის მიუხედავად, სტუდენტი ჩხიკვაძე კვლავ განაგრძობდა საუბარს, შემდეგ უნებართვოთ, დემონსტრაციულად ადგა და გავიდა აუდიტორიიდან, ცოტა ხანში უკან დაბრუნდა და კვლავ გამოიწვია ხმაური, რის გამოც გავაფრთხილე, რომ შესაძლოა განმეხილა მისთვის ამ კონკრეტულ ლექციაზე დასწრების ქულის განულება.

ლექციის დასრულების შემდეგ ორივე მათგანი იცდიდა აუდიტორიის შესასვლელთან და მოითხოვეს განმარტება, ერთი მხრივ, რატომ შევუშვი ლექციაზე 50 წუთიანი დაგვიანებით ეტლით მოსარგებლე სტუდენტი და რატომ დავარღვიე ამ მიდგომით მათი უფლებები და მოვახდინე დისკრიმინაცია. მას შემდეგ, რაც განვუმარტე, რომ ეტლით მოსარგებლე სტუდენტისთვის არ არის საკმარისად ადაპტირებული არც საზოგადოებრივი ტრანსპორტი და არც უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, რის გამოც მის მიმართ დაგვიანების საკითხზე მქონდა განსხვავებული მიდგომა, კვლავ ატეხეს ხმაური და დისკრიმინაციაში დამდეს ბრალი. ამასთან, ორივე მათგანი იჩენდა უაღრესად უპატივცემულო დამოკიდებულებას.

ჩემ მიერ აღწერილი თითოეული ფაქტი, დროითი მონაკვეთები და შექმნილი სიტუაცია შესაძლებელია გადამოწმდეს როგორც უნივერსიტეტის პირველ კორპუსში დამონტაჟებული კამერების ჩანაწერებით, ისე სტუდენტების მხრიდან, ვინც ამ ყველაფერს შეესწრო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, განიხილოთ ორივე სტუდენტის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი და გამოეცხადოთ საყვედური, რათა მომავალში მსგავსი ფაქტები აღარ განმეორდეს.

პატივისცემით,

კონსტანტინე შუბითიძე **21.12.2023**

ასოცირებული პროფესორი